პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 272 (10969) | სამშაბათი, 19 ნოემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სადილი კრემლში უცხოეთის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებისა და პარტიათა დელეგაციების პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ეგვიპტური გაზეთის „ალ-აჰრამის“ მთავარ რედაქტორ მ. ჰ. ჰეიკალთან (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ადამიანები პატრიოტული შრომით უპასუხებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას (1-ლი გვერდი).

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ბ. მილიუტინი. — მთავარი ყურადღება ნაკლოვანებათა გამოსწორებას; ე. ხარებავა. — კომუნისტები მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

ა. ვასაძე. — პატრიოტული სპექტაკლი (მე-2 გვერდი).

შ. ჯავახაძე. — ზერელედ შეტანილი სასუქი ბალახს ახარებს (მე-2 გვერდი).

დ. პაიჭაძე. — მანდარინის ახალი საადრეო ჯიში (მე-2 გვერდი).

გავაჩაღოთ მასობრივი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა სოფლად. — მახარაძის რაიონის მშრომელთა მიმართვა საქართველოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო საბჭოებისადმი; ყველა ენერგიულისადმი; რაისაბჭოს სესია განიხილავს საწლიან გეგმას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მახარაძის რაიონის მშრომელთა ინიციატივა

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი.

საქართველოს მშრომელები ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად სახელოვან დღესასწაულს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ. ბევრმა საწარმომ, მტს-მა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უკვე შეასრულა წლიური გეგმა და დღესასწაულის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. დღეს ისინი ენერგიულად იბრძვიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად საქართველოს კოლმეურნეობები ეკონომიურად კიდევ უფრო განმტკიცდნენ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი ფულადი შემოსავალი. შეიქმნა მტკიცე საფუძველი საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

პარტიის XX ყრილობის მიერ სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში „ამ ბოლო დროს, — აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე, — შესამჩნევად გააქტიურდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობა, გაიზარდა მათი როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში“.

უკანასკნელ წლებში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა. ყოველწლიურად იზრდება თვითეული კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები. ამჟამად რაიონის საკოლმეურნეო წარმოება ყოველწლიურად იძლევა 163 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს. კოლმეურნეობათა განუყოფელმა ფონდმა 272 მილიონ მანეთს გადაამეტა. რაიონში აშენებულია ასზე მეტი კაპიტალური შენობა, 225 სასილოსე კოშკი, 200 საწყობი სათავსი, ყველა კოლმეურნეობაში პირუტყვისათვის აგებულია კეთილმოწყობილი ბინები, სადაც ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზებულია.

სოფლები დაფარულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ფართო ქსელით. მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში ამ დაწესებულებათა შექმნასა და გაფართოებაზე 47 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

ასეთი დიდი ასიგნობანი და უდიდესი წარმატებანი სოფლის კულტურულ მშენებლობაში საკოლმეურნეო წყობილების ნაყოფია. კოლმეურნეობათა ეკონომიური განმტკიცება, საზოგადოებრივი მეურნეობის წლითიწლობით მზარდი განუყოფელი ფონდები, კოლმეურნეთა შემოსავლის სისტემატური ზრდა საშუალებას იძლევა სრულად დაკმაყოფილებულ იქნას სოფლის მოსახლეობის მზარდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი.

მახარაძის რაიონულმა, სადაბო და სასოფლო საბჭოებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით შეადგინონ მშენებლობის სამწლიანი გეგმა. ამ მიზნით კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში წინასწარ შეისწავლეს მატერიალური და ფულადი რესურსები, შეადგინეს გეგმები, რომლებიც დაამტკიცეს სადაბო და სასოფლო საბჭოების სესიებმა. რაისაბჭოს აღმასკომმა წარმოდგენილი გეგმების საფუძველზე შეადგინა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის რაიონული სამწლიანი გეგმა, რომელიც განიხილა და დაამტკიცა რაიონული საბჭოს სესიამ.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის რაიონული სამწლიანი გეგმის განსახორციელებლად კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდებიდან, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახსრებიდან, კოლმეურნეთა პირადი შემოსავლიდან ასიგნებულია 183 მილიონი მანეთი.

ამ გრანდიოზული გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი: უახლოეს პერიოდში რაიონის კოლმეურნეობებში უნდა გაფართოვდეს აგურის წარმოება, აიგოს აგურის ახალი მექანიზებული ქარხანა, რაიონის აგურის საწარმოები ყოველწლიურად გამოუშვებენ 5 მილიონ ცალ აგურს. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სოფელ ძიმითში კირის წარმოება, მოკლე პერიოდში დაიწყება შემოქმედში აღმოჩენილი საუკეთესო საკედლე ქვის დამუშავება, რომლის მარაგი ორ მილიონ კუბურ მეტრს აღემატება. გამონახულია ხე-ტყის მასალის დამატებითი რესურსები. უახლოეს პერიოდში გომის მთაზე გაყვანილი იქნება საავტომობილო გზა, რის შემდეგაც რაიონს შესაძლებლობა ექნება მიიღოს 2 ათასზე მეტი კუბური მეტრი ხე-ტყის საუკეთესო მასალა.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ იმ კოლმეურნეობებში, სადაც სამშენებლო ბრიგადები ჰყავთ, მშენებლობა მიმდინარეობს ჩქარი ტემპით, ხარისხი უკეთესია და მშენებლობის ღირებულება სხვასთან შედარებით დაბალია. რაიონის კოლმეურნეობებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ჩამოაყალიბონ სამშენებლო ბრიგადები, თვითეულ ხელოსანს შეასწავლონ 2-3 სპეციალობა, რათა წლის ყველა პერიოდში მუშახელი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული.

სამწლიანი გეგმით დასახული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა გამოცხადებულია სახალხო საქმედ; ფართოდ იქნება გამოყენებული მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონულმა, სადაბო და სასოფლო საბჭოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მახარაძის მშრომელთა ამ შესანიშნავ თაოსნობას, გულდასმით შეისწავლონ თავიანთი რაიონის, სოფლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი, მატერიალური და სამშენებლო რესურსები, შეადგინონ და განიხილონ კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის კონკრეტული გეგმები უახლოესი დროისათვის და შეუდგნენ მათს განხორციელებას, გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ამ გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

მახარაძელთა ამ შესანიშნავ თაოსნობას მხარი უნდა დაუჭირონ და საქმიანი დახმარება გაუწიონ ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი მეურნეობისა და მშენებლობის სამინისტროებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამართველომ და სხვა სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებმა. სოფლად კულტურული მშენებლობის დაჩქარებას დიდად შეუწყობს ხელს აგრეთვე ის, თუ რესპუბლიკის დიდი საწარმოები აიღებენ შეფობას რაიონებისადმი და შესაძლებლობის ფარგლებში გაუწევენ მათ კონკრეტულ დახმარებას.

სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა სახალხო საქმეა. მას ესაჭიროება კონკრეტული დახმარება და ყოველდღიური ზრუნვა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მხრივ.

მხარი დავუჭიროთ მახარაძელ მშრომელთა შესანიშნავ ინიციატივას!

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი კ. ბულესკირია ამოწმებს კოლმეურნე ს. ბაგიშვილის მიერ მოკრეფილ ჩაის ფოთლის ხარისხს (პირველი სურათი); აფხაზეთის თამბაქოს ზონალური სადგურის მეცნიერი მუშაკი ნ. სოლოვიოვა საცდელ ნაკვეთში.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა და ი. ედიგარაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

18 ნოემბრის დილის 6 საათისათვის დედამიწის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 280-ჯერ შემოუარა დედამიწას და განვლო 9 მილიონ 535 ათასი კილომეტრი.

პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა და მისმა მატარებელმა რაკეტმა ამ ხანში დედამიწას შემოუარეს შესაბამისად — 667 და 672-ჯერ. მათ მიერ განვლილი გზა აღემატება დედამიწასა და მარსს შუა მანძილს, მარსის დიდი პირისპირ დგომის პერიოდში.

მოწმენდილ ამინდში დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრი შეიძლება შეუიარაღებელი თვალით დავინახოთ მზის ამოსვლის წინ ჩრდილოეთ განედის 63 გრადუსიდან 65 გრადუსამდე და მზის ჩასვლის შემდეგ სამხრეთ განედის 38 გრადუსიდან 62 გრადუსამდე. პირველი თანამგზავრის მატარებელი რაკეტი შეიძლება დავინახოთ მზის ჩასვლის შემდეგ ჩრდილოეთ განედის 60-დან 65 გრადუსამდე და მზის ამოსვლის წინ სამხრეთ განედის 46 გრადუსიდან 63 გრადუსამდე. (საკდესი).

ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

16 ნოემბერს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა მოსკოვის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი არტილერიის დღის დღესასწაულისადმი.

საბჭოთა არტილერისტების ტრადიციულ დღესასწაულზე შეიკრიბნენ საბჭოთა არმიის მარშლები, გენერლები, ოფიცრები, მეომრები, საარტილერიო მრეწველობის მუშაკები, დედაქალაქის საწარმოთა ნოვატორები, მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენლები.

სხდომის პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ჭ. ბაგრამიანი, ს. მ. ბუდიონი, ჯარების გვარუობათა მარშლები, გენერლები და ადმირალები, საარტილერიო მრეწველობის წარჩინებული ადამიანები, დედაქალაქის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა არმიის არტილერიის სარდალმა არტილერიის მარშალმა ს. ს. ვარენცოვმა.

საბჭოთა არტილერისტებს მხურვალედ მიესალმნენ: მოსკოვის მშრომელთა სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. დ. ორლოვი, თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა სახელით მთავარი კონსტრუქტორი ი. ი. ივანოვი, კომკავშირელებისა და საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. ზალუჟნი.

* * *

არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები გაიმართა ლენინგრადში, კიევში, რიგასა და სხვა ქალაქებში. (საკდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

16 ნოემბერს თბილისში გარმართა მშრომელთა საქალაქო საზეიმო კრება თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი არტილერიის დღისადმი.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის თეატრალურ დარბაზში შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი, საბჭოთა არმიის მეომრები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ.

არტილერიის გენერალ-ლეიტენანტმა ნ. ტელეგინმა დამსწრეთ უამბო, თუ რა სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა არტილერიამ, რა წარმატებანი მოიპოვეს მამაცმა არტილერისტებმა საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში, რა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ადამიანები.

არტილერისტ მეომრებს მიესალმნენ მშრომელთა სახელით მუშა ხ. მელკონიანი, ინტელიგენციის სახელით — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კ. ზავრიევი, ახალგაზრდობის სახელით — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი რ. ბესელია.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ

★ ★

ᲝᲠᲗᲝᲥᲛᲐᲕᲐᲪ-ᲕᲐᲒᲝᲜᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲛᲦᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა, 10 თვის გეგმა 107,6 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია მისცა.

ქარხნის კოლექტივში ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვამ საბჭოთა ხალხებისადმი.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, —განაცხადა მექანიკური საამქროს მოწინავე ხარატმა ა. მარგველაშვილმა, — შეჯამებულია სსრ კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, დასახულია წინსვლის ნათელი პერსპექტივები. ჩვენი სახელოვანი ქარხნის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს შშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის. მიმართვის პასუხად პირადად ვკისრულობ ყოველდღიური დავალება სამმაგად შევასრულო.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო წლიური გეგმა გაანაღდოს 20 დეკემბრისათვის.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

გარდაბანი. (საკ. კორ.). ყარაიის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის ზეიმს. მეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა პირუტყვის სულადობისა და სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმები.

საბჭოთა მეურნეობის მუშაკები დიდი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალებს — სესიაზე ამხ. ნ. ხრუშჩოვის მოხსენებას, უმაღლესი საბჭოს მიმართვებს, მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელების სიტყვებს.

როცა საბჭოთა მეურნეობის მუშაკები უმაღლესი საბჭოს მიმართვას ეცნობოდნენ, მოწინავე მწველავმა ლიანა ტამილინამ განაცხადა:

— ჩვენ, მეცხოველეობის მუშაკები, პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე ვდგავართ. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღე 2.600 კილოგრამამდე რძე. ამჟამად ვკისრულობ მოვწველო სამი ათას კილოგრამამდე.

პატრიოტული ვალდებულებანი აიღო აგრეთვე ფერმის მუშაკმა ა. დავითიანმა. მთლიანად მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 1.200 ცენტნერი რძე და ახალი სამეურნეო წლისათვის წველადობა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გაზარდოს საშუალოდ 2.700 ლიტრამდე.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲐ

კვირას მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა სოხუმის დრამატული კოლექტივის მეორე წარმოდგენა. ქართულმა დასმა აჩვენა სპექტაკლი „მამელუკი“ კ. თათარიშვილის (უიარაღო) მოთხრობის მოტივების მიხედვით. ინსცენირების ავტორები არიან ი. ჭავჭანიძე და გ. ცინცერაძე.

პიესის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ი. კაკულიას, მხატვარია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი — საქართველოა სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. მელვინეთუხუცესი.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ვ. მჟავანაძე, მ. ლელაშვილი, გ. გეგეშიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. გოცირიძე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ბღაჟბა.

\• \• \•

გუშინ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სოხუმის დრამატული კოლექტივის აფხაზურმა დასმა აჩვენა შ. ფაჩალიას ოთხმოქმედებიანი პიესა „გუნდა“.

პიესის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს შ. ფაჩალიას, მხატვარია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი — ო. თევდორაძე.

\• \• \•

18 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა პოეზიის სექციის სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პოეზიის სექციის თავმჯდომარემ ა. მირცხულავამ. აფხაზი პოეტების შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა გ. აბაშიძემ.

აფხაზი პოეტების ნაწარმოებთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ი. აბაშიძემ, ხ. ბღაჟბამ, ა. ბეგაშვილმა, ა. გომიაშვილმა, ნ. გურეშიძემ, ი. თარბამ, კ. კალაძემ, გ. კალანდაძემ, ჯ. ნიქაბაძემ, მარიჯანმა, ს. ჩიქოვანმა.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

საღამოს 8 საათზე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი. ქართული კოლექტივი აჩვენებს კ. გოლდონის კომედიას „ორი ბატონის მსახური“, თარგმანი გ. ფრონსპირელისა.

დღის 12 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში შედგება პროზისა და დრამატურგიის სექციების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განხილული იქნება აფხაზ პროზაიკოსთა და დრამატურგთა ნაწარმოებები.

საღამოს 9 საათზე ქალაქ რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიმართება აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

სურათზე: აფხაზეთის ასსრ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ერთი კუთხე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲛᲖᲐᲓᲔᲒᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲑᲘ

ფართოდ გაიშალა მუშაობა სახალხო სასამართლოების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის თბილისის კიროვის რაიონში. პარტიის რაიკომში შედგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და ზოგიერთი საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების რაიონული თათბირი სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში საგაგიტაციო მუშაობის ამოცანების შესახებ. რაიკომის ბიურომ დამტკიცა აგიტპუნქტების ხელმძღვანელები. პარტიული ორგანიზაციის მდივნებს დაევალათ მოკლე დროში უზრუნველყონ აგიტპუნქტების გაფორმება და მომარაგება ჟურნალ-გაზეთებით, საჭირო საარჩევნო ლიტერატურით.

* * *

სახალხო სასამართლოების არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით თბილისის ორჯონიკიძის რაიონში მოეწყო აგიტპუნქტების გამგეთა საინსტრუქტაჟო თათბირი.

ᲛᲮᲐᲯᲕᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენამ, რომელიც 17 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში, თბილისის საზოგადოებრიობის ფართო ყურადღება მიიპყრო.

აფხაზეთის ფერმწერლებმა, მოქანდაკეებმა, გრაფიკოსებმა, თეატრალური დეკორაციული ხელოვნების ოსტატებმა გამოფენაზე წარმოადგინეს თავიანთი საუკეთესო ნამუშევრები. ათვალიერებთ მათ შემოქმედებას, და თქვენს თვალწინ იშლება საქართველოს ამ მომხიბლავი კუთხის პეიზაჟები, აფხაზების ცხოვრების ამსახველი სურათები, მოწინავე ადამიანები.

ყურადღებას იპყრობს ჭ. კუკულაძის ფერწერული ტილო — „აფხაზეთის რევოლუციონერები“, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ი. ცომაიას „ს. ორჯონიკიძე და ნ. ლაკობა ნადირობაზე“, ნ. თაბუკაშვილის — „რიწის ტბის გზაზე“, ვ. შჩეგლოვის — „აჯანყება ლიხნში“, მხატვრების ი. შენგელაიას — „მთვარიანი ღამე გაგრაში“, ო. ბრენდელის პეიზაჟები.

სკულპტურულ ნამუშევართა შორის აღსანიშნავია გ. რუხაძის — აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას და სოციალისტური შრომის გმირის თემურ თარბას პორტრეტები, ბ. ღოღობერიძის — აფხაზეთის სახალხო გმირის კიახბა ხაჯარათის პორტრეტი.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ყაზბეგი გამოფენაზე წარმოდგენილია რამდენიმე ნამუშევრით, რომელთა შორის გამოირჩევა სპექტაკლების „მამელუკისა“ და „ღალატის“ დეკორაციების ესკიზები. წიგნის გრაფიკიდან ყურადღებას იპყრობენ ნ. მასტიცკაიას ილუსტრაციები.

ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

17 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა კრემლში სადილი გამართა უცხოეთის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებისა და პარტიათა დელეგაციების პატივსაცემად, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის დღესასწაულში.

სადილზე იყვნენ უცხოეთის დელეგაციების მეთაურები და წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის მინისტრები.

სადილზე სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მაო ძედუნმა, ჟაკ დიუკლომ.

სადილზე გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარება სუფევდა.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲔᲒᲕᲘ�პᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲐᲚ-ᲐᲰᲠᲐᲛᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ Მ. Ჰ. ᲰᲔᲘᲙᲐᲚᲗᲐᲜ

18 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი ეგვიპტური გაზეთის „ალ-აჰრამის“ მთავარი რედაქტორი ბ-ნი მოჰამედ ჰასანეინ ჰეიკალი მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ლ. თ. ილიჩოვი. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

მთავარი ყურადღება—ნაკლოვანებათა გამოსწორებას

საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე

წელს სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობის გადიდებაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ. კომუნისტებმა, უპარტიო კოლმეურნეებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს პარტიის მოწოდების შესრულებისათვის — დავეწიოთ უახლოეს წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 4.665 კილოგრამი ხორცი, 14.816 კილოგრამი რძე, მნიშვნელოვანი რაოდენობით არის ჩაბარებული აგრეთვე კვერცხი და სხვა პროდუქტები.

წარმატებათა მოპოვებაში კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვით კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტებს. რაზეც დაწვრილებით ილაპარაკეს მომხსენებელმა პარტბიურის მდივანმა ნ. ზაქარაიამ და კომუნისტებმა კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. მათ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს კოლმეურნეობის კომუნისტებმა 9 თვეში 14.140 შრომადღე გამოიმუშავეს. აღსანიშნავია კომუნისტების ენერგიული მუშაობა მეტი ჩაის ფოთლის მოყვანისათვის. მათ, ოჯახის წევრებთან ერთად, 1 ოქტომბრისათვის დაამზადეს 39.225 კილოგრამი ფოთოლი, 1.485 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, სერიოზული მუშობა გასწიეს აგრეთვე სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ კომუნისტები დ. პირტახია, ხ. თორდია. კომუნისტების მხარდამხარ ბეჯითად შრომობენ უპარტიო კოლმეურნეები ვ. რატია, ა. ჩერქეზია, კ. შაშუგია და სხვები.

მაგრამ, როგორც კრებაზე აღინიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში ირღვევა შრომის დისციპლინა. ამას ისიც ადასტურებს, რომ 50 ჰექტარი ჩაის ახალგაზრდა პლანტაცია მოუვლელია. ახლის გაშენებისათვის კი არავინ ზრუნავს. ზოგიერთი კომუნისტის, მაგალითად, კ. ქირიას, ნ. მაქაცარიას, გ. სიგუას ოჯახის წევრები სუსტად მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში.

კომუნისტებმა გულისტკივილით ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ პარტიის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები იშვიათად დადიან კოლმეურნეობებში, შორს დგანან კოლმეურნეობისაგან, არ უწევენ მათ ქმედითს დახმარებას ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

როგორც მომხსენებელმა, ისე მე-8 ბრიგადის ხელმძღვანელმა ღ. ქირიამ, მეღორეობის ფერმის მუშაკმა მ. თორდიამ ილაპარაკეს ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გაფართოების საჭიროებაზე.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ მ. უბილავამ, მეცხრე ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. სიხარულიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ პარტბიურო სათანადო ყურადღებას არ აქცევდა კოლმეურნეთა შორის ლექციამოხსენებების კითხვას, იგრძნობოდა ფორმალიზმი პარტიულ სწავლებაში.

კომუნისტთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე კრებამ მიიღო კონკრეტული დადგენილება, რომლის შესრულება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობის საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, საარტელო მეურნეობის კიდევ უფრო განმტკიცებას, მომავალი წლის უხვი მოსავლის საფუძვლის ჩაყრას.

გ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისი. 30 ბინიანი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ფალიაშვილის ქუჩაზე. აქ ფართოდ იყენებენ რკინაბეტონის კონსტრუქციებს და შენობა ექსპლოატაციაში გადაეცემა წლის დამლევისათვის.

ფოტო ი. დვალის და ვ. ვახტანგაძის. (საქდესის ფოტოქრონიკა).

კომუნისტები მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლაში

წინათ სოფელ თორიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა ყველაზე ჩამორჩენილი იყო ბოგდანოვკის რაიონში. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა მეცხოველეობა. შრომადღეებზე მცირე საზღაურს იღებდნენ კოლმეურნეები. ბევრი მათგანი საკოლმეურნეო შრომას თავს არიდებდა. როცა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. პეტროსიანი ამას იგონებს, დასძენს: იმდროინდელი პარტიული კრებები ძირითადად შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებისადმი იყო მიძღვნილი. ჩვენი ჩამორჩენილი კოლმეურნეობისადმი ქმედითი დახმარების ნაცვლად რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობა მხოლოდ თავმჯდომარეების შეცვლით კმაყოფილდებოდა, მაგრამ ამით საქმე წინ არ მიდიოდა.

სულ სხვა სურათია ახლა კოლმეურნეობაში. მეცხოველეობის გადაწყვეტი უბნებისადმი ხელმძღვანელობა პარტიულმა ორგანიზაციამ ამ საქმის მოყვარულ, მცოდნე და ბეჯით ადამიანებს მიანდო. მეცხოველეობის ყველა ფერმაში კომუნისტები მუშაობენ. ორი წლის წინათ პარტორგანიზაციის რჩევით მეცხვარეობის ფერმის გამგედ კოლმეურნეობის გამგეობამ კომუნისტი ს. მკრტიჩიანი დანიშნა, რომელმაც მუშაობის დიდი უნარი გამოიჩინა და საუკეთესო მეცხოველის სახელი მოიხვეჭა.

გაჩაღდა ბრძოლა მეცხვარეობის ფერმიდან მაღალხარისხოვანი პროდუქციის დიდი რაოდენობით მიღებისათვის. ფერმის გამგემ შეძლო ცხვრის კვების, მოვლისა და გაზრდის მეთოდების გაუმჯობესება.

— წლის ყველა დროში ჩვენ უზრუნველყავით ცხვრის განუწყვეტელი კვება. გამოცდილებით ვიცით, რომ არაწესიერი კვება იწვევს ცხვრის დაავადებას, მანკიანი მატყლის წარმოქმნას, — აცხადებს ფერმის გამგე ს. მკრტიჩიანი. — ჩვენს მეცხვარეებს გადაწყვეტილი აქვთ მატყლის რაოდენობა თითო ცხვარზე 3-დან 4 კილოგრამამდე აიყვანონ.

კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა მეღორეობის განვითარებასაც. კომუნისტი ო. პეტროსიანს მოსავლელად მიუჩინეს 5 დედაღორი. წელა მან თვითეულ დედაღორზე 15 ღოჟი გაზარდა. მეღორეობის ფერმის მუშაკთა ვალდებულებაა ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე აწარმოონ 40 ცენტნერი ხორცი, ხოლო უახლოეს 2-3 წელიწადში ღორის ხორცის წარმოება 70 ცენტნერამდე აიყვანონ.

მეძროხეობის ფერმაში უკანასკნელ ხანებში ბევრი მწველავი დაწინაურდა. მათი დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა. ერთ-ერთი მათგანია კომკავშირელი ქალიშვილი რ. პეტროსიანი, რომელიც დიდი მონდომებით ემზადება სკკპ რიგებში შესასვლელად. მისი სურვილია პარტიაში შესვლა სარეკორდო მაჩვენებლებით აღნიშნოს. ეს მან კიდევაც განახორციელა. მისთვის მოსავლელად მიჩენილი 10 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე 1.300 ლიტრის ნაცვლად 2.000 ლიტრი რძე მიიღო, მაგრამ იგი ამ მიღწევებით როდი კმაყოფილდება. მას გადაწყვეტილი აქვს მომავალ წელს ერთ ძროხაზე მიიღოს 3.000 ლიტრი რძე.

პარტიული ორგანიზაცია დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის, პარტიის მიერ დასახული იმ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითი დაასახელეს აგვისტოს ბოლო რიცხვებში გამართულ პარტიულ კრებაზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმისა და ბოგდანოვკის რაიონული პარტიული აქტივის შედეგების განხილვას მიეძღვნა. როგორც ამ კრებაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტ. ოგანესოვმა აღნიშნა, 1956 წელს რძის წარმოებამ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე 146,2 ცენტნერი შეადგინა, 1957 წლის ბოლოსათვის იგი 240 ცენტნერს მიაღწევს.

პარტიული კრების მიერ მიღებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად დიდი პრაქტიკული მუშაობა გაჩაღდა. იძენენ ჯიშიან პირუტყვს, ქმნიან მტკიცე საკვებ ბაზას. ფართო ფრონტით გაიშალა პირუტყვის სადგომების მშენებლობა. სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს პარტიის წევრს ო. ლოკიანს. ბრიგადამ, რომელიც გამოცდილი მშენებელი კოლმეურნეებით არის დაკომპლექტებული, უკვე ააგო 124 სული ძროხისათვის ტიპური სადგომი, 800 ტონის ტევადობის სასილოსე ორმო.

ყოველივე ამასთან ერთად კოლმეურნეობის მუშაობაში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანია, რომელთა აღმოუფხვრელად მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას ხელი შეეშლება. სოფელი წყლის ნაკლებობას განიცდის. მახლობელი სოფლიდან მესაძლებელია სასმელი წყლის არხით გამოყვანა. ამის შესახებ ბევრჯერ თქმულა პარტიულ კრებებზე, მაგრამ პრაქტიკულად დღემდე არაფერი არ გაკეთებულა.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების პროპაგანდას. კოლმეურნეობაში ვერ ნახავთ სტენდებსა და ვიტრინებს. აგიტატორები თავიანთ საუბრებში არ იყენებენ მოწინავეთა გამოცდილებას.

კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ამაღლებით უნდა უზრუნველჰყოს ამ ნაკლოვანებების სწრაფად გამოსწორება და მეცხოველეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საკავშირო ჯილდოები მოწინავე საწარმოებს

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ საქართველოს მთელი რიგი მტს-ები, საბჭოთა მეურნეობები, საამშენებლო კანტორები და პურის პროდუქტების სარეალიზაციო ბაზები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა კვლავ შეინარჩუნა კოლხიდმშენის კოლექტივმა, რომელსაც მიეკუთვნა პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიეკუთვნათ: ახალსოფლის (გორის რაიონი) მანქანა-ტრაქტორთა სადგურის და ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებს. მეორე პრემია მიეკუთვნა მახარაძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ფოთის წისქვილკომბინატისა და დიდუბის სარეალიზაციო ბაზის კოლექტივებს. მესამე პრემია — გაგრის მერძეველობის მეურნეობას და ბათუმის სარეალიზაციო ბაზას. კარგი მუშაობისათვის მადლობა გამოეცხადათ: პურის-პროდუქტების ოჩამჩირის, მარნეულის, ცხაკაიას, მახარაძის, წნორის, ხაშურის სარეალიზაციო ბაზების, ქსანის, ახალციხის, წითელწყაროს, ბადიაურის პუნქტების, დიდუბის და წნორის წისქვილ-ქარხნების კოლექტივებს.

ს. კალანდაძე,
სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

ზერელედ შეტანილი სასუქი ბალახს ახარებს

ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინათ ქუთაისის რაიონის ჩაის პლანტაციებში გაცხოველებული შრომა იყო, მეჩაიეები გამალებით კრეფდნენ უკანასკნელ დუყებს, ისწრაფოდნენ წარმატებით შეესრულებინათ აღებული ვალდებულებანი. ახლა კი პლანტაციებში იშვიათად შეხვდებით კოლმეურნეებს. დამთავრდა თუ არა კრეფის სეზონი, ჩაის ბუჩქების მოვლა-პატრონობას ხელი შეუშვეს. ასე მოხდა ქვიტირის, გუმათის, ოფურჩხეთის, ჟონეთის, საჩხეურისა და ქუთაისის რაიონის ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში. წელს ვერ უზრუნველყვეს ჩაის უხვი მოსავლის მიღება, ხოლო ამჟამად შეუწყნარებლად აჭიანურებენ საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების შესრულებას, უდარდელობას იჩენენ.

ქვიტირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ჟორჟოლიანი) პლანტაციების გადაბარვასა და ფოსფოროვანი სასუქების შეტანაზე ჯერ არც კი უფიქრიათ, ასევე არ დაუწყიათ სადრენაჟო ქსელის გაწმენდა. აქ პლანტაციები რემონტსა და აღდგენას მოითხოვს, მაგრამ რატომღაც ამ სამუშაოებს მცირე მასშტაბითაც არ ითვალისწინებენ. ადგილზე არც მინერალური სასუქები აქვთ მომარაგებული საკმაო რაოდენობით. ასეთივე მდგომარეობაა ოფურჩხეთის, ჟონეთის, საჩხეურისა და სხვა კოლმეურნეობებში.

გუმათის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ძოწენიძე) 79 ჰექტარი ფართობიდან გადაბარვა სასუქის შეტანით მხოლოდ 3 ჰექტარზეა შესრულებული, სადრენაჟო არხები კი 4 ათასი გრძივი მეტრის ნაცვლად 400 მეტრზეა გაწმენდილი. ფოსფოროვანი სასუქების ნაწილი პლანტაციების გადაბარვამდე, მიწას ზედაპირზეა დაყრილი. ბევრ ადგილას 15 სანტიმეტრის სიღრმეზე, ძირიც უნდა შეეტანათ. ზერელედ შეტანილი სასუქი ბალახს ახარებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძვირფასი სასუქები საავტომობილო გზატკეცილზე, პირდაპირ ქუჩაში ყრია და, ვიდრე პლანტაციებში შეიტანდნენ, ფუჭდება და ნიავდება.

15 ნოემბერს, დღის 2 საათზე ასეთი ფაქტის მოწმენი გავხდით: გუმათის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციების იმ ნაკვეთზე, რომელსაც „ჭანკოულას“ ეძახიან, ცხენები და თხები ბალახობდნენ. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის.

ყველაფერი ეს იქვე, კოლმეურნეობის ბრიგადირის ს. ბენიძის კარმიდამოს ახლო ხდება. ბრიგადირმა იცის ეს, მაგრამ რატომღაც თავს არ იწუხებს, ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩაიზე მიპატიჟებულნი...

დღის მაგალითით

ცხაკაია. (საკ. კორ.). ჩაის პლანტაციებში ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე მარიამ ესებუამ დიდი, პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა და უხვი მოსავლის ოსტატის სახელი დაიმკვიდრა. დღეს სოფელ ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ვისაც უნდა კითხოთ, მოწინავე მეჩაიეთა შორის პირველ რიგში მ. ესებუას დაგისახელებენ. მან მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთზე 4.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, 1.500 კილოგრამით მეტი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, და შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა.

ეს ორი წელია დედას მტკიცედ უდგას მხარში თავისი ქალიშვილი ნათელა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნათელა აქტიურად ჩაება საკოლმეურნეო შრომაში, ამასთან დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში.

დედა-შვილს გადაწყვეტილი აქვთ მომავალში კიდევ უფრო გაადიდონ ჩაის მოსავლიანობა მიმაგრებულ ნაკვეთებზე. ისინი უკვე შეუდგნენ პლანტაციებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს: ბარავენ, შეაქვთ ფოსფოროვანი სასუქები, წმენდენ ნაკვეთებს სარეველებისაგან.

მანდარინის ახალი საადრეო ჯიში

მოსავლიანობის გადიდებისათვის ენერგიულ ბრძოლასთან ერთად ნოვატორი კოლმეურნეები გულმოდგინედ შრომობენ ციტრუსოვანთა ახალი ჯიშების გამოყვანისათვის. ეს მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანისა და ადრეული, მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოვლენებისათვის.

ცნობილია, რომ ციტრუსების, მათ შორის მანდარინის ნაყოფი გვიან, ნოემბერში მწიფდება. ამიტომ ხშირად უსწრებს შემოდგომის სიცივე და ზოგჯერ ყინვებიც. ასეთ შემთხვევებში ნაყოფი უგემური და უფერული ხდება, მალე ფუჭდება.

მანდარინის ჯიშთა შორის დღემდე ყველაზე გავრცელებულია უნშიუ (უთესლო მანდარინი), რომელიც ჩვენს პირობებში ყველაზე მაღალმოსავლიანია, მაგრამ მისი სიმწიფის პერიოდი გვიან იწყება, რის გამო მოსავალი ზოგჯერ საფრთხეში ვარდება.

დიდ ინტერესს იწვევს საადრეო ჯიშის მანდარინი, რომელიც გამოავლინა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯიშთა გამოცდის ჩაქვის (ქობულეთის რაიონი) სახელმწიფო ნაკვეთის გამგემ აგრონომმა ო. მეგრელიშვილმა. ასეთი ჯიშის მანდარინის ხე ბევრად უფრო პატარა იზრდება, ვიდრე უნშიუს ჯიშისა, მაგრამ მეტად მაღალმოსავლიანია და მისი ნაყოფი სამი კვირით ადრე მწიფდება. ამხ. მეგრელიშვილმა ამ ჯიშის მანდარინი გაამრავლა. ამჟამად ჩაქვის ნაკვეთში 250 ძირი ასეთი მანდარინია. მარშან აქ პირველად მიიღეს უხვი მოსავალი.

ახალი ჯიშის მანდარინის ხეზე ნაყოფი სიმწიფეს იწყებს ოქტომბრის დამდეგს, ხოლო მასობრივ სიმწიფეში შედის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. 6 წლის ასაკის თვითეულ ხეზე შარშან პირველად მიიღეს 215 ცალი ნაყოფი. კარგი იყო მოსავალი წელსაც. იგი მასობრივად აიღეს 20 ოქტომბრისათვის.

საადრეო ჯიშის მანდარინის გავრცელება ხელს შეუწყობს მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აგრონომი ო. მეგრელიშვილი მის მიერ გამოვლენებული საადრეო და მაღალმოსავლიანი ჯიშის მანდარინის მსხმოიარე ხესთან.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

პატრიოტული სპექტაკლი

აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა გაიხსნა სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დასის მიერ დადგმული ა. სუმბათაშვილის „ღალატით“. ამ პიესის რუსულ და განსაკუთრებით ქართულ სცენებზე დადგმის უდიდესი ტრადიცია არსებობს. „ღალატი“ ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიული დრამაა, სადაც მხატვრული სახეები დიდ შესაძლებლობას ქმნიან აქტიორული ხელოვნების წარმატებით გამოვლინებისა და მაყურებელში კეთილშობილურ გრძნობათა დანერგვისათვის.

ზეინაბი, ოთარბეგი, სოლეიმანი, ანანია, დათო, ბესო, რუქაია, გაიანე, მაიკო და სხვა ეპიზოდური სახეებიც კი ამ პიესისა დიდი ხანია გასცილდნენ სცენურ რამპას და განაგრძობენ სიცოცხლეს ქართველ ხალხში.

ამიტომ კანონზომიერი იყო თბილისელი მაყურებლის დიდი ინტერესი და მოლოდინი, თუ როგორ შეასრულებდა ამ პიესას აფხაზური თეატრის ნიჭიერი კოლექტივი.

ყოველგვარი შეღავათის მიუცემლად უნდა ითქვას, რომ რეჟისურამ, მსახიობებმა და მხატვარმა სასახელოდ გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანას და შექმნეს ანსამბლური, ამაღელვებელი, პატრიოტული სპექტაკლი.

რეჟისურამ და განსაკუთრებით მსახიობებმა თავიანთი სცენური ტემპერამენტით, განდგომათა უშუალობით, ვაჟკაცური თავშეკავებით წარმატაცი განწყობილება შექმნეს მაყურებელში და ღირსეული გამარჯვება დაიმსახურეს.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ზუხბამ ზეინაბის რთულ როლში ნამდვილი მხატვრული ზომიერებისა და დრამატული მგრძნობიარობის უნარი გამოამჟღავნა. მსახიობმა დიალოგი სოლეიმან ხანთან სადად და დამაჯერებლად წაიყვანა. ჭეშმარიტად დედოფლური თავდაჭერილობით კიცხავდა იგი ოთარბეგს, რათა როგორმე შეენელებინა მისი ზედმეტი გულმოდგინება სოლეიმანისადმი.

დიდი მხატვრული ტაქტით ჩაატარა მან ყველაზე რთული ადგილები ზეინაბის როლისა მესამე აქტსა და საფინალო სცენაში. აქ ბევრი ცთუნებაა იმისათვის, რომ მსახიობი ზედმეტმა სანტიმენტალობამ გაიტაცოს, ზეინაბი მხოლოდ შურისმაძიებელ დედად წარმოგვიდგინოს და არა მოწინავე, სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლ ქალად, რომელმაც პირადი ბედნიერება დასთმო თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მოსაწონია მსახიობის მოსაზრება, რომ მის მიერ შექმნილი ზეინაბის სახე მოწამეობრიობის ბეჭედს არ ატარებს; ზეინაბი მ. ზუხბას შესრულებით ჯან-ღონით სავსე, გაუტეხელი ენერგიის ადამიანია. ეს საინტერესო მხატვრული სახე მნიშვნელოვანი ეტაპია ნიჭიერი მსახიობის შემოქმედებითს ცხოვრებაში და ჩვენი ქვეყნის თეატრალური კულტურის შენაძენია.

მ. ზუხბა-ზეინაბის ღირსეული პარტნიორია შ. ფაჩალიას ოთარბეგი. ქედმოუხრელი მეომარი, ჭაღარამოსილი ბრგე ვაჟკაცი დგას თქვენს წინაშე შ. ფაჩალიას შესრულებით პირველ მოქმედებაში. მსახიობი დამაჯერებელ რომანტიკულ სახეს ქმნის პირველ, მეოთხე და მეხუთე მოქმედებაში. მეორე და მესამე მოქმედებაში ოთარბეგის სულიერი ბრძოლა მსახიობის მიერ ნაკლებად არის ხაზგასმული. მსახიობი ამ სცენებში ბესოსთან, ანანიასთან, თავის შვილ გაიანესთან თითქოს განგებ ჩრდილში აყენებს ოთარბეგის სახეს და ამიტომ მონანიების სცენაში ნაკლებ ეფექტს ახდენს, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობ შ. ფაჩალიას ნამდვილი სცენური ტემპერამენტი ახასიათებს.

ღრმად შთამბეჭდავი სცენური სახე შექმნა მსახიობმა ქალმა ვ. დბარმა ისახარის როლში. სასიამოვნოა, რომ მსახიობმა ამ სახის შექმნისას გარეგნულ თეატრალურ ეფექტებს არ მიმართა და წინა პლანზე წამოსწია ამ მრავალტანჯული დედის ვაჟკაცური მოთმინება და თავისი ხალხის საბოლოო გამარჯვების მტკიცე რწმენა.

სცენა სპექტაკლიდან „ღალატი“. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ზუხბა (ზეინაბი) და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. ფაჩალია (ოთარბეგი).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

კმაყოფილებით აღსანიშნავია ამ სპექტაკლში ა. აგრბას მიერ ანანიას როლის განსახიერება. მსახიობი ცოცხლად, დამაჯერებლად გვიხატავს დარბაისელ, ბრძენ მოხუც გლეხკაცს, რომელსაც მძიმე ცხოვრება გაუვლია და რომელიც თავის ოჯახში ზრდის ხალხის მომავალ მფარველსა და ქომაგს. მსახიობი რბილი ფერებით გადმოგვცემს ანანიას მამხილებელ ირონიას ოთარბეგის მიმართ მხოლოდ ანანიას სადღესასწაულო ტანსაცმელს ვერ დავეთანხმებით. ანანია უფრო სადად, გლეხურად უნდა იყოს ჩაცმული, ისევე როგორც მისი მეუღლე ისაბარი.

კოლორიტული სახე შექმნა ხ. ჯოუამ საბა-ბერის როლში, რომელიც მსახიობის გააზრებით ერთნაირ პატივსა სცემს ჯვარსა და ხანჯალს.

უთუოდ წარმატებით გამოვიდა გაიანეს როლში მ. ფაჩალია. გაიანეს სახეს იგი მკვეთრად ხატავს. მსახიობი განსაკუთრებით მოსაწონია მამასთან შეხვედრის სცენაში.

ა. არგუნ-კონოშოვას ტრადიციულად მიჰყავს რუქაიას როლი. მსახიობის ახალი წვლილი ამ სახეში უფრო როლის საინტერესო ინტონაციური გახსნაა.

დამაკმაყოფილებელია დათოს სახის განსახიერება ნ. ჩიქოვანის მიერ და ერეკლესი — ნ. ჯენიას მიერ.

სპექტაკლის მხატვრულ ჩარჩოს არ სცილდება აგრეთვე სოლეიმან-ხანის რთული როლის შესრულება მსახიობ მ. კოვეს მიერ, თუმცა პირდაპირ უნდა ვთქვათ — მსახიობის მონაცემები ამ როლს ნაკლებად შეეფერება.

ბესოს საინტერესო როლში მეტს მოველოდით ნიჭიერ მსახიობ რ. აგრბასაგან, ასევე მაიკოს როლში მსახიობ მ. კობახიასაგან.

აღსანიშნავია ყარა-იუსუფის ეპიზოდურ როლში მსახიობი ს. კობახია. ჭკვიანი, მოხერხებული, გაიძვერა ვეზირის ტიპიური სახე შექმნა მსახიობმა სადა და ძუნწი მოძრაობით, დიდი უშუალობითა და თავდაჭერილობით. ამ როლში მსახიობი ნამდვილ წარმატებას აღწევს.

ძნელია სრულად აღვწერო ის მხატვრული შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინეს ჩვენზე აფხაზური თეატრის ახალგაზრდა ნიჭიერმა შემოქმედებითმა კოლექტივმა და მისმა ცალკეულმა ოსტატებმა. ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს იმ დიდ სიხარულზე, რომელიც დეკადის ამ პირველმა სპექტაკლმა განგვაცდევინა. მთელი ქართველი საზოგადოებრიობა, მწერლობა, ხელოვნების მუშაკები მოძმე აფხაზი ხალხის თეატრის დაბადებისა და ზრდის მოწმენი და მონაწილენი ვართ.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აყვავდა და გაიფურჩქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. კანონზომიერია აფხაზი ხალხის კულტურის ზრდა და განვითარება. ჩვენ მუდამ გვაკავშირებდა და გვაკავშირებს საერთო მიზანი და სურვილები, ჩვენი ქვეყნისა და ხალხებისადმი სიყვარული. სწორედ ამ სიყვარულით, ამ პატრიოტული განწყობილებით არის განხორციელებული აფხაზური დრამის მიერ სპექტაკლი „ღალატი“.

ამიტომ არის, რომ აფხაზური დრამატული ხელოვნების პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ასე გულთბილად მიიღო დედაქალაქის მაყურებელმა.

აკაკი ვასაძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

საინტერესო კონცერტი

17 ნოემბერს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

ანსამბლში 130 მომღერალი და მოცეკვავეა. მის რეპერტუარშია ორასამდე აფხაზური, ქართული, უკრაინული და სხვა ხალხთა სიმღერები და ცეკვები. ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი რ. გუმბა, ქორეოგრაფი — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ციმაკურიძე, ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელი — ი. შამბა, დირიჟორი — ბ. ბაღათელია.

ანსამბლმა დიდი წარმატებით შეასრულა სიმღერა პარტიაზე (ტექსტი აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიასი, მუსიკა აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. ლაკერბაისა), სიმღერა თბილისზე, რომელიც შექმნილია ანსამბლის წევრების ტ. ჩხაიძისა და გ. შუქვანის მიერ, აფხაზური ნანა და მრავალი სხვა სიმღერა.

ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა მაყურებელს უჩვენა მაღალი პროფესიული ოსტატობა. მგზნებარე ტემპერამენტით იქნა შესრულებული აფხაზური, ქართული, რუსული, უკრაინული, ბულგარული, მოლდავური და სხვა ცეკვები.

კონცერტის დასასრულს ნაჩვენები იქნა მასობრივი ახალგაზრდული ცეკვა.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

გავაჩაღოთ მასობრივი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა სოფლად

★ ★

მახარაძის რაიონის მშრომელთა მიმართვა

საქართველოს ყველა რაიონული, სადაგო და სასოფლო საგჭოსადმი, სოფლის ყველა მშრომელისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა ხელისუფლების ორსებობის ორმოცი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა მსოფლიოში უდიდესი კულტურული რევოლუცია. მიღწეულია კულტურული მშენებლობის უმაგალითო წარმატებანი მახარაძის რაიონშიც. მეფის დროინდელი სოფლის საერთო ჩამორჩენილობის პირობებში ჩვენი რაიონი კულტურული დონის მხრივ სხვებზე მაღლა იდგა. გვქონდა ერთი საშუალო სკოლა, 37 დაწყებითი სკოლა 2.500 მოსწავლით და 100-ზე მეტი მასწავლებლით, ეს რევოლუციამდელი პროვინციის საუკეთესო მაჩვენებლად ითვლებოდა. თუ რა შორს წავიდა წინ კულტურული ცხოვრება საკოლმეურნეო სოფელში, ეს ჩანს ყოველი ჩვენი სოფლის მაგალითთან; საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. ახლა რაიონში მუშაობს 2.215 აგრონომი, მასწავლებელი და ინჟინერი, ექიმი და ადგილობრივი სასოფლო ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელი. ჩვენი სოფლები დაფარულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ხშირი ქსელით. მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში ამ დაწესებულებათა შექმნასა და კეთილმოწყობაზე 47 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

ასეთი დიდი ასიგნობანი და უდიდესი წარმატებანი სოფლის კულტურულ მშენებლობაში საკოლმეურნეო წყობილების ნაყოფია. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, საზოგადოებრივი მეურნეობის წლითიწლობით მზარდი განუყოფელი ფონდები შესაძლებლობას გვაძლევენ ახალი ძალით გავაჩაღოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სოფლის მოსახლეობის მზარდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი.

მასობრივ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას ვიწყებთ მას შემდეგ, რაც დავამთავრეთ დიდი სამუშაოები კოლმეურნეობათა საწარმოო და სამეურნეო მშენებლობის დარგში — აგებულია ასზე მეტი კაპიტალური სათავესი და 225 სასილოსე კოშკი საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის, 500 სასაწყობო სათავსი და ა. შ.

გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, უწინარეს ყოვლისა მთავარი ყურადღება მიაქციეს კოლმეურნეობებში საწარმოო-სამეურნეო მშენებლობას, რაიონის საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს უფრო ენერგიულად შეუდგნენ სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საკოლმეურნეო წარმოება ყოველწლიურად გვაძლევს 163 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს. კოლმეურნეობათა განუყოფელმა ფონდმა 272 მილიონ მანეთს გადაამტა. ეს საშუალებას გვაძლევს დიდი სახსრები გამოვიყენოთ მასობრივ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა განსახორციელებლად. ეს ღონისძიებანი ასახულია მახარაძის რაიონის კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიან გეგმაში, რომელიც მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მიმდინარე სესიამ დაამტკიცა.

ამ გეგმის განსახორციელებლად ასიგნებულია 183 მილიონი მანეთი, საიდანაც 61 მილიონ 773 ათას მანეთს თავიანთი განუყოფელი ფონდებიდან გამოჰყოფენ რაიონის კოლმეურნეობები, 19 მილიონ 880 ათას მანეთს — კოლმეურნენი თავიანთი შემოსავლიდან, 46 მილიონ 617 ათას მანეთს — საბჭოთა მეურნეობები, 43 მილიონ 220 ათას მანეთს — დაწესებულებები და ორგანიზაციები, 11 მილიონ 510 ათასი მანეთი გაღებული იქნება აღმასკომის ბიუჯეტიდან.

ამ სახსრებით ჩვენ განზრახული გვაქვს სამ წელიწადში ავაგოთ 21 სასკოლო შენობა, 44 კლუბი, კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა, 20 სასოფლო საავადმყოფო და აფთიაქი, 72 საბავშვო ბაგა და ბაღი, 132 მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინა, 651 კოლმეურნეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, 22 აბანო, 9 დასასვენებელი სახლი და სხვ.

50 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება 1958-1960 წლებში სოფლების ელექტროფიკაციასა, რადიოფიკაციასა და ტელეფონიზაციაზე, აგრეთვე სასპორტო მოედნების, კულტურისა და დასვენების პარკების აგებაზე და სასოფლო გზების მოასფალტებაზე, რომლებიც კოლმეურნეობებს რაიონულ ცენტრთან აკავშირებს.

წარმატებით რომ განვახორციელოთ კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმა, ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები — საშენი ქვა, ხე-ტყის მასალა, აგური და კირი. ამისათვის მოვაწყობთ ქვის კარიერების დამუშავებას სოფელ შემოქმედში, აღვადგენთ და გავაფართოებთ აგურის წარმოებას, აგრეთვე შევქმნით აგურის ახალ ქარხნებს და ამით აგურის წარმოებას ავიყვანთ წელიწადში 5 მილიონ ცალამდე. სოფელ ძმითში შევქმნით კირის წარმოებას, რომელიც დამატებით მისცემს მშენებლობებს ათას ტონაზე მეტ კირს.

ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ ტყის ადგილობრივი უმდიდრესი მასივები და უახლოეს ხანში გავიყვანოთ გომის მთამდე საავტომობილო გზა წელიწადში 2.000-ზე მეტი კუბური მეტრი ხე-ტყის გამოსატანად.

სამწლიანი გეგმით დასახული ყველა სამშენებლო ობიექტი ჩვენ მიგვაჩნია სახალხო მშენებლობად და განზრახული გვაქვს განვახორციელოთ ისინი ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით—მოსწავლე ახალგაზრდობისა და მოსამსახურეების მასობრივ შაბათობათა მოწყობის, ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშის აქტიური შრომითი მონაწილეობის გზით, აგრეთვე ყველა კოლმეურნეობაში დამატებითი სამშენებლო ბრიგადების შექმნით, ამასთან შევეცდებით ბრიგადის თვითეულ წევრს შევასწავლოთ ორი-სამი სამშენებლო პროფესია, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ისინი წლის ყველა დროს. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლის გაძლიერების მიზნით, კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, სამშენებლო სამუშაოთა კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის რაიონული საბჭოს სესიამ გადაწყვიტა შექმნას რაიონულ საბჭოსთან, აგრეთვე სადაბო და სასოფლო საბჭოებთან ახალი, მუდმივმოქმედი კომისია — კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის კომისია,

ვიღებთ რა ზემოაღნიშნულ ვალდებულებებს, ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვითეულ მშრომელს გულდასმით შეისწავლონ თავიანთი რაიონის, სოფლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსური, მატერიალური და სამშენებლო რესურსები, შეადგინონ და განიხილონ კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის კონკრეტული გეგმები და ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მისი განხორციელებისათვის.

მიღებულია მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს IV სესიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაიონული საბჭოს სესია იხილავს რაიონის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიან გეგმას. ტრიბუნაზეა რაიაღმასკომის თავმჯდომარე დ. საბაშვილი.

ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.

რაისაბჭოს სესია განიხილავს სამწლიან გეგმას

ამას წინათ მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მეოთხე სესიამ განიხილა რაიონის 1958-1960 წლების კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმა.

სესიამ დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა და მიიღო მიმართვა რესპუბლიკის ყველა რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოსადმი, სოფლის ყველა მშრომელისადმი და მოუწოდებს მათ ფართოდ გააჩაღონ მასობრივი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა სოფლად.

ამ გვერდში ვბეჭდავთ სესიის მიერ მიღებულ მიმართვას და ზოგიერთი ამხანაგის მიერ წარმოთქმულ სიტყვას.

ციფრები და ფაქტები

⊙ მახარაძის რაიონში რევოლუციამდე იყო ერთი საშუალო სკოლა, ახლა კი არის 67 სკოლა, აქედან 25 საშუალო. აქ მუშაობს 2 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

⊙ სოფლების შრომის, ნატანებისა და მელექედურის მეჩაიეობის სამ მსხვილ კოლმეურნეობაში გამოდის საკუთარი ნაბეჭდი მრავალტირაჟიანი გაზეთები.

⊙ სამ სოფელში — შემოქმედში, დვაბზუსა და მაკვანეთში იქნება აგურის ქარხნები.

⊙ რაიონში ყველაზე დიდი სამშენებლო ობიექტია ჩაის მრეწველობის მუშაკთა კულტურის სახლის უზარმაზარი შენობა. აქ ახლა წარმოეს მოსაპირკეთებელი სამუშაოები, რაზეც დაიხარჯება 2 მილიონი მანეთი.

⊙ სამწლიანი გეგმის მიხედვით ნატანების სასოფლო საბჭო იწყებს 800 მოსწავლისათვის სკოლის, 500 მაყურებლისათვის გათვალისწინებული კლუბის, 30-საწოლიანი საავადმყოფოს, აგრეთვე აბანოსა და სტადიონის მშენებლობას. ამ მშენებლობებისათვის ასიგნებულია 5 მილიონამდე მანეთი. ასეთივე დიდი თანხები გამოყოფილი აქვთ ყველა სხვა სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებს.

⊙ ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში იწყებენ 500 ბავშვისათვის გათვალისწინებული სკოლა-ინტერნატის, 27 საერთო საცხოვრებლის, სასტუმროსა და სხვა კულტურულ - საყოფაცხოვრებო შენობების აგებას. ამისათვის ასიგნებულია 16 მილიონი მანეთი.

⊙ რაიონის მსხვილი კოლმეურნეობები იწყებენ თავიანთი კოლმეურნეებისათვის 9 დასასვენებელი სახლის აგებას წყალტუბოში, ქობულეთში, ბახმაროზე და რესპუბლიკის სხვა კურორტებზე.



ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დ. საბაშვილის მოხსენებიდან

ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებას თან სდევდა კოლმეურნეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება, მათი კულტურის ზრდა. დღითიდღე იცვლიან სახეს ჩვენი სოფლები, მშვენდება რაიონული ცენტრი. ჩვენ ვცდილობთ, რომ ისინი უფრო კეთილმოწყობილი, კულტურული გახდნენ, ვცდილობთ ავაშენოთ მეტი კარგი საცხოვრებელი სახლი, სასოფლო კლუბი და სასკოლო შენობა, მოასფალტებული გზებით დავაკავშიროთ რაიონული ცენტრი ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასთან. ეს მისწრაფება ასახულია რაიონის კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიან გეგმაში, რომელიც წარმოდგენილია რაიონული საბჭოს ახლანდელი სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად. საკმარისია ითქვას, რომ დიდ სამუშაოთა დასახული პროგრამის განსახორციელებლად ასიგნებულია 183 მილიონი მანეთი.

ვითვალისწინებთ რა სასოფლო მშენებლობის გაზრდილ მოცულობას, ჩვენ უახლოეს ხანში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა გააფართოონ საშენი მასალების წარმოება. მაგალითად, უნდა დაჩქარდეს კარიერების ამუშავება შემოქმედში, სადაც აღმოჩენილია შესანიშნავი საშენი ქვა. მდინარე ნატანებს გაღმა, სოფლების განახლებისა და მერიის ტერიტორიაზე უახლოეს ხანშივე უნდა მოვაწყოთ აგურის მექანიზებული წარმოება. აგურის წარმოება შეიძლება მოეწყოს აგრეთვე მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ასევე წარმატებით შეგვიძლია გადავწყვიტოთ კირის წარმოების გაფართოების ამოცანა, რისთვისაც უნდა ავაგოთ ქარხნები თუნდაც, მაგალითად, სოფელ ძმითის ტერიტორიაზე. ამავე დროს ძნელი არ არის გამოვნახოთ ხეტყის მასალის დამატებითი რესურსები. ამისათვის საჭიროა რაიაღმასკომის საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილებამ სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობასთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი ჩვენი რაიონის ტყის მასივების რაციონალური გამოყენებისათვის.

ჩვენი სამწლიანი გეგმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, მათი მზადყოფნა განახორციელონ კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის დიადი პერსპექტივები.

ჩვენი სოფლის მშრომელები თავიანთი რაიონის პატრიოტები არიან. მათ მხურვალედ უყვართ თავიანთი დაბები, სოფლები, ქალაქი, და მასობრივ შაბათობებსა და კვირაობებზე არაერთხელ უჩვენებიათ, თუ რა ენთუზიაზმით და ერთსულოვნად შეუძლიათ შეასრულონ გამწვანების სამუშაოები, გაიყვანონ ახალი განიერი ქუჩები, ააგონ საზოგადოებრივი შენობები. უწინარეს ყოვლისა, ამაში ვხედავთ ჩვენი სამწლიანი გეგმის რეალობას.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲖᲐᲜᲔᲑᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ Დ. ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲜ ᲡᲓᲔᲕᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ. ᲓᲦᲘᲗᲘᲓᲦᲔ ᲘᲪᲕᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ, ᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ, ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲐᲕᲐᲨᲔᲜᲝᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, ᲛᲝᲐᲡᲤᲐᲚᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐᲡᲗᲐᲜ. ᲔᲡ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜ ᲒᲔ�გᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲚᲘᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ. ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲡᲘᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 183 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ ᲠᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲐᲦ�წᲘᲝᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲐᲤᲐᲠᲗᲝᲜᲗ ᲡᲐᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲓᲔᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲥᲕᲐ. ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲛᲐ, ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲮᲐᲜᲨᲘᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐ. ᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲝᲗ ᲙᲘᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ, ᲛᲔ ᲕᲜᲐᲮᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲦᲘᲡᲘᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲚᲘᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲐᲓ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲐᲜ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲝᲛᲔᲬᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲘᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲜᲐᲗᲣᲠᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲘᲗ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲪᲘ, 80 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲬᲔᲚᲘ 400 ᲨᲠᲝᲛᲐᲓᲦᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔ. ᲛᲘᲮᲐᲠᲘᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲝ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲡ ᲐᲬᲔᲠᲘᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲘᲪ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲰᲧᲝᲤᲡ 2,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲜᲔᲗ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ. ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲕᲔᲠ ᲐᲦᲬᲔᲕᲓᲐ ᲐᲛ ᲪᲘᲤᲠᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑᲗ ᲐᲕᲐᲨᲔᲜᲝᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲤᲣᲠᲜᲔ, ᲐᲑᲐᲜᲝ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲡᲐᲣᲑᲜᲝ ᲒᲖᲔᲑᲘ.

ᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ, ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ, Ა�გᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲠᲘ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲥᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲥᲕᲐ. ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲛᲐ, ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲮᲐᲜᲨᲘᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐ. ᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲝᲗ ᲙᲘᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ 5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲐᲚᲐᲛᲓᲔ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲫᲛᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ

პრაღაში ჩავიდნენ სსრ კავშირის პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციები ა. ზაპოტოცკის დაკრძალვაზე

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პრაღაში სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვაზე. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი.

იმავე მატარებლით პრაღაში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ზაპოტოცკის დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ა. ზავადსკის მეთაურობით და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ო. გროტევოლის მეთაურობით.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნულ კრებაში

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზ. ფირლინგერმა 1957 წლის 19 ნოემბერს მოიწვია ეროვნული კრება პრეზიდენტის ასარჩევად.

დაიხურა ნატოს საპარლამენტო საბჭოს სესია

პარიზი, 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს დამთავრდა ნატოს ქვეყნების საპარლამენტო საბჭოს სესია. სესიის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც კავშირის წევრება მოუწოდებს პოლიტიკური სოლიდარობისაკენ.

საფრანგეთის დელეგაციამ, რომელმაც დემონსტრატიულად მიატოვა სესია ამერიკისა და ინგლისის იარაღის ტუნისში გაგზავნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, უარი თქვა დასწრებოდა საბოლოო სხდომას.

სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს ჩინელი ხალხის გამცემს

პეკინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „გუანმინჟიბაო“ იუწყება, რომ ქალაქ ნანჩანის (ძიანსის პროვინცია) სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა კონტრრევოლუციონერ კე ჯან-ნინს, რომელსაც ბრალად ედება ცნობილი პატრიოტი რევოლუციონერის ფან ჯი-მინის დაღუპვა. ფან ჯი-მინი იყო ერთ-ერთი იმ ხელმძღვანელთაგანი, რომლებიც 1934 წელს მეთაურობდნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქვეგანაყოფებისლაშქრობას ჩრდილოეთში.

ფინეთის საპაჯიო სიგელი მიენიჭა საბჭოთა კინოფილმ „ოტელოს“

ჰელსინკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). რამდენიმე წლის წინათ ფინეთში დაწესდა საპატიო სიგელები და პრიზები, რომლებითაც აღინიშნება საუკეთესო ფინური და უცხოური ფილმები, რომლებსაც ფინეთის ეკრანებზე უჩვენებენ. ამას წინათ საპატიო სიგელი მიენიჭა საბჭოთა ფილმ „ოტელოს“, რომელიც დადგმულია ს. იუტკევიჩის მიერ, აგრეთვე 11 უცხოურ ფილმს.

საყოველთაო-სახალხო გლოვა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). დღეს განთიადიდანვე ტრამვაი და ტროლეიბუსები, რომლებიც პრაღის გარეუბნებიდან ცენტრისაკენ მიემართებიან, და საგარეუბნო მატარებლები, რომლებიც დედაქალაქში შემოდიან, ხალხით იყო გაჭედილი. ადამიანები ისწრაფვიან პრაღის კრემლისაკენ. დღეს დაიწყო ხალხის შეშვება დარბაზში, სადაც ასვენია ანტონინ ზაპოტოცკის ნეშტი.

კრემლის ესპანური დარბაზი, რომელიც 2 ათასამდე კაცს იტევს, სამგლოვიაროდ არის მორთული. კუბოზე, რომელიც ჩაფლულია ცოცხალ ყვავილებში, დახრილია სამგლოვიარო დროშები; წითელ ბალიშებზია პრეზიდენტის ჯილდოები ხალხის წინაშე მისი დამსახურებისათვის. კუბოსთან არიან ნათესავები და მახლობლები. კუბოს ნახევრად ფარავს სახელმწიფო დროშა.

ამ დარბაზში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის მთავრობის საზეიმო სხდომის მაღალი ტრიბუნიდან სულ ორი კვირის წინათ წარმოთქვა სიტყვა ა. ზაპოტოცკიმ. დღეს ამავე დარბაზში ხალხი ეთხოვება თავის საყვარელ შვილს.

დილის 8 საათია. საპატიო ყარაულში დგებიან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები: ანტონინ ნოვოტნი, ვილიამ შიროკი, ზდენეკ ფირლინგერი, იარომირ დოლანსკი, ვაცლავ კოშეცკი, რუდოლფ ბარაკი, ლიუდმილა იანკოვეროვა, კარელ ბაცილეკი, ბრუნო კალერი, ვრატისლავ კრუტინა, ოლდრიხ ჩერნიკი. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებსა და მდივნებს ცვლის მთავრობის დელეგაცია: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე კარელ პოლაჩეკი, საავტომობილო მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი ემილ ზატლოუკალი, გზათა მინისტრი ანტონინ პოსპიშილი, ფინანსთა მინისტრი იულიუს დიურიში, მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი იოზეფ რეიტმაიერი, მეტალურგიული მრეწველობისა და მაღაროების მინისტრი ვაცლავ ჩერნი, ქიმიური მრეწველობის მინისტრი იოზეფ პუჩიკი, თავდაცვის მინისტრი ბოგუმილ ლომსკი, სათბობის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი იოზეფ იონაში.

შემდეგ საპატიო ყარაულში დგებიან ეროვნული ფრონტის დელეგაციის, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციების დელეგაციათა წევრები.

ოდერს სამგლოვიარო მელოდიების ხმები. კუბოს ნელა ჩაუარეს დედაქალაქის და ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმა, რომელნიც მოვიდნენ, რათა უკანასკნელად სცენ პატივი განსვენებულ პრეზიდენტს.

ესპანური დარბაზის მომჯობინე ყველა დარბაზი სავსეა გვირგვინებით. აქ არის გვირგვინები ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისაგან, ეროვნული ფრონტისაგან, ჩეხოსლოვაკიისაბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირისაგან, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსაგან, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისაგან, სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსაგან, სლოვაკიის რწმუნებულთა კორპუსისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საწარმოებისაგან, სასწავლებლებისაგან, ჯარის ნაწილებისაგან, სკოლებისაგან, პრაღაში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიებისაგან, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კავშირის საელჩოსაგან, საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციისაგან, რომელიც ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვაზე. ამ გვირგვინს აწერია:

„ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის ერთგულ მეგობარს ანტონინ ზაპოტოცკის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან“.

სულ უფრო მატულობს კრემლისაკენ მიმავალ ადამიანთა რიცხვი. ისინი მიდიან, რათა გამოეთხოვონ ხალხის ერთგულ შვილს. გამოთქვამენ პატივისცემასა და სიყვარულს იმ ადამიანისადმი, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა ჩეხოსლოვაკი ხალხისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის.

ნაშუადღევის 4 საათზე ადგილობრივი დროით საპატიო ყარაულში დგებიან საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ი. ს. კონევი, დ. ს. კოროტჩენკო და ი. ტ. გრიშინი. მათ ცვლიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების დელეგაციათა წევრები. საღამოს საპატიო ყარაულში დგებიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის მოადგილე უ ჯო ნეინი საქართველოში

გასულ კვირას საქართველოს დედაქალაქი გულთბილად შეხვდა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს უ ჯო ნეინსა და მის თანმხლებ პირებს, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში.

თბილისის აეროდრომი მორთულია ბირმის კავშირის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. ტრანსპარანტებზე ბირმულ და ქართულ ენებზე წარწერილია სიტყვები: „ეკეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ბირმელო სტუმრებო“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობას!“

სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუტავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი გ. ი. ჩოგოვაძე და ზ. ა. კვაჭაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. შელაძე, საქართველოს სსრ მინისტრები, რესპუბლიკურ უწყებათა და დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.

11 საათსა და 45 წუთზე აეროდრომზე დაეშვა ბაქოდან მომავალი თვითმფრინავი, რომელშაც ჩამოიყვანა ბირმელი სტუმრები. თვითმფრინავიდან ჩამოდიან ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის მოადგილე უ ჯო ნეინი და მისი მეუღლე, ბირმის კავშირის ელჩი სსრ კავშირში უ ჩინი და მისი მეუღლე. ბირმის კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპარლამენტო მდივანი უ ტა დუნი, ინფორმაციის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი უ მაუნგ მაუნგი, პარლამენტის წევრი უ ჯო სეინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმასრულებელი მდივანი უ სო ტინი, მეტალურგიული ქარხნის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე უ აუნგ კინი, სოციალურ, საყოფაცხოვრებო და რელიგიურ საქმეთა სამინისტროს მდივნის მოადგილე უ ბა სვე, რანგუნის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი უ ეი ხლაინგი, ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლნი უ ნიუნტ ტეინი, უ პონ მინტი, უ ჯო სეინ აუნგი, უ ნაინგ ვინი, ექიმი უ ეი.

სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. გ. შმაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. ა. მალეტინი, რომლებიც სტუმრებს ახლავან მოგზაურობაში.

პიონერები გარს შემოეხვივნენ მეგობარი ბირმელი ხალხის წარმომადგენლებს და ყვავილების თაიგულები მიართვეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუტავამ მისალმებით მიმართა სტუმრებს.

მიკროფონთან მიდის ბირმის პრემიერ-მინისტრის მოადგილე უ ჯო ნეინი. თავისი სახელით და დელეგაციის წევრთა სახელით იგი მადლობას გამოთქვამს გულითადი მიღებისათვის.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ უ ჯო ნეინმა ბირმელ ოფიციალურ პირთა ჯგუფის თანხლებით ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს. საუბრის დროს ამხ. ჯავახიშვილმა უამბო რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ. უ ჯო ნეინმა მისცა მთელი რიგი კითხვები, კერძოდ, სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს წარმატებების შესახებ. აღნიშნა რა, რომ ბირმა არის ჩაის სამშობლო, უ ჯო ნეინი დაინტერესდა, რა მუშაობა წარმოებს ჩაის მოყვანის მექანიზაციის დარგში.

ვიზიტის დამთავრების შემდეგ უ ჯო ნეინმა და დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, რის შემდეგ გაემგზავრნენ რუსთავში.

გაეცნენ რა ახალგაზრდა ქალაქის ახალშენებს, სტუმრებმა დაათვალიერეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. პრემიერ-მინისტრის მოადგილის უ ჯო ნეინის თხოვნით ქარხნის დირექტორმა ს. ა. შარაძენიძემ სტუმრებს გააცნო ომის შემდგომ წლებში აგებული ქარხნის ისტორია, უამბო ქარხნის ნედლეულის ბაზის, მუშების საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ.

საღამოს ბირმელი სტუმრები თბილისში დაბრუნდნენ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა დარბაზობა გამართა უ ჯო ნეინისა და მასთან ერთად ჩამოსული ბირმელი ოფიციალური პირების პატივსაცემად.

დარბაზობის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ უ ჯო ნეინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

უ ჯო ნეინმა, კერძოდ, აღნიშნა:

— მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ხანმოკლე ყოფნა აქ ელვის მსგავსია. როგორც ცნობილია, ელვის სინათლე ძალიან ძლიერია, თუმცა ხანმოკლე. არანაკლებ ძლიერი იყო გულითადობა და სტუმართმოყვარეობა, რაც ჩვენ გაგვიწიეს საქართველოში. მადლობას მოგახსენებთ ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც სტუმართმოყვარეობისათვის. გადიგონდებოდეთ თქვენ, როგორც მახსოვდეს, ვადიგონდებოდეთ ამ აღმატებულებას ბატონ პრეზიდენტ ვოროშილოვს, ვადიგონდებოდეთ დიდ საბჭოთა ხელმძღვანელებს პრემიერ ბულგანინსა და ბატონ ხრუშჩოვს, ვსვამ ჩვენი ორი ქვეყნის დიადი მეგობრობის სადღეგრძელოს.

დარბაზობამ გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის მოადგილე უ ჯო ნეინი და მისი თანმხლები პირები მატარებლით გაემგზავრნენ ბათუმში. (საკდესი).

სპორტული კვირადღე

„კასტატკორის“ სტადიონზე

ტაშკენტი, 17 ნოემბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებულთა დასკვნითი ასპარეზობის კალენდარი შეიცვალა. ამის შედეგად თბილისელ ფეხბურთელებს პირველი მატჩის ჩატარება სტანისლავის „სპარტაკთან“ მოუხდათ.

თბილისელებმა მოწინააღმდეგეს მაღალი ტემპი შესთავაზეს. 28-ე წუთზე დ. ხუნდაძის, ა. ნორაკიძისა და თ. მელაშვილის მიერ გათამაშებული კომბინაცია თ. მელაშვილის დარტყმით და გოლით დამთავრდა. ტაიმის ბოლო წუთებში მსაჯმა ჭ. არხიპოვმა თბილისელთა კარისაკენ 11-მეტრიანი გაუკეთა. ეს ერთადერთი გოლი ბოლამდე ძალაში დარჩა. სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში.

შეჯიბრების მეორე ნახევარში წვიმდა, მაგრამ ტემპიანი და მძაფრი სპორტული ბრძოლა არ დამცხრალა.

საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1.

მორიგი შეხვედრების კალენდარი ასეთია: 21 ნოემბერს — ლენინგრადის „ავანგარდი“ — სტანისლავის „სპარტაკი“, 24 ნოემბერს — თბილისის სკვო — „ავანგარდი“, 27 ნოემბერს — სკვო — „სპარტაკი“, 30 ნოემბერს — „სპარტაკი“ — „ავანგარდი“, 3 დეკემბერს — „ავანგარდი“ — სკვო.

საჭადრაკო ჩემპიონატი

ვილნიუსი. 17 ნოემბერს დაიწყო სსრ კავშირის ქალთა XIX საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი.

დიდი ინტერესი გამოიწვია კ. ზვორიკინასა და ი. გურფინკელის პარტიამ. მძაფრი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო. ძლიერად ჩაუტარა შეხვედრა ე. კაკაბაძემ ვ. ტიხომიროვას წინააღმდეგ და გათაშების ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა. ი. იგნატიევასა და ნ. გაფრინდაშვილის პარტია არ შემდგარა.

ტრადიციული ველოკროსი

ყოველი წლის სპორტული სეზონის დასასრულს თბილისში იმართება შეჯიბრება ველოსრბოლაში (თბილისის რკალი) გაზეთ „მოლოდოი ლენინეცის“ გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად.

ასევე იყო 17 ნოემბერს. სპორტსმენებს უნდა გაევლოთ 5 წრე. შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა შეჯიბრების უკანასკნელი ეტაპი. ფინიშთან მოაჭიროდა ველოსრბოლთა ჯგუფი. გადამწყვეტ მომენტში ამ ჯგუფს ძოწყდა სპორტსშეხი ნომრით — 99. ეს იყო ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელი ყ. გეგეჭკორი, რომელმაც დისტანცია 26 წუთში და 6,8 წამში გაიარა, და პირველი ადგილი დაიკავა.

სურათზე: ველოსრბოლები დისტანციაზე.

სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

* * *

ვილნიუსი — თბილისი

საქართველოში ხელბურთი სპორტის ყველაზე ახალი სახეობაა.

მას შემდეგ, რაც პირველი ასეთი ასპარეზობა გაიმართა, ერთი წელიც არ გასულა, მაგრამ ამ მოკლე დროში მრავალი შეხვედრა მოეწყო.

ხელბურთის შემდგომი განვითარების მიზნით ხშირად ეწყობა საქალაქთაშორისო შეხვედრები. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება იყო 17 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართული მატჩი ვილნიუსისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის.

პირველი ტაიმი დამთავრდა მასპინძელთა სასარგებლოდ — 8:6. შეხვედრის მეორე ნახევარში თბილისელები ინარჩუნებდნენ უპირატესობას და მოიგეს მატჩი ანგარიშით 13:8.

შეხვედრა ოსტატებთან

პირველი შემთხვევაა, რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა კოლექტივი სსრ კავშირის სპორტის ოსტატებით რომ არის დაკომპლექტებული. ეს წოდება ტრამვაელებმა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრის ბოგებით მიიღეს.

ასეთი გაჭარჯვების შემდეგ თბილისის ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოს გუნდის გამოსვლა დიდ ინტერესს იწვევდა. კვირას ტრამვაელი ფეხბურთელები თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდნენ ჭუთაისის „დინამოს“.

პირველი ტაიმის შედეგი იყო 0:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის, 25-ე წუთზე ნ. ცაგარეიშვილმა გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ თბილისელებმა დამატებით ორი ბურთი გაიტანეს და მოიგეს მატჩი ანგარიშით 3:0.

ქალაქ თბილისის გარნიზონის კომენდანტისაგან

ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1957 წლის 23 ნოემბრიდან გადადიან ტანსაცმლის ზამთრის ფორმაზე.

სემინარები

19 ნოემბერს საღამოს 8 საათზე, საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლში (ლენინის ქ. № 35) მოეწყობა სემინარები პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა და სემინარების ხელმძღვანელთათვის. სემინარების ხელმძღვანელები არიან ი. გურგენიძე, ვ. სიგეა, ი. ესაიაშვილი, ქ. დადიანი, ქ. და ე. კანდელაკები.

რედაქტორი პ. რატიანი.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
საზამთრო თეატრი

(პლეხანოვის პროსპ. № 123)
19, 20 ნოემბერს

დიდი კონცერტი

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი
დავით გამრეკელი
რესპუბლიკის სახალხო არტისტები
ნ. ხარაძე, ა. ყორუოლიანი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი
პ. კობახიძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი
გ. სალარაძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი
სტ. ჯაფარიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი
ა. ჩიჯავაძე,
ახალგაზრდობის და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი
ზ. ანჯაფარიძე;
საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები
დ. ესებუა, ო. სანდომისაშვილი, გ. გარსევანიშვილი, ნ. ბერიძე.
კონცერტმეისტერი—ე. აგაბეკოვა, პროგრამის წამყვანი პ. კობახიძე.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება.

ტელეგადაცემათა პროგრამა

19 ნოემბრისათვის

19.30 — აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილენი სტუდიაში, 20.25 — ახალი მხატვრული ფილმი „წყნარი დონი“ I სერია (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის).

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის გამგის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (პროფესორი ან დოცენტი).

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების სბუოების სათანადოდ შემოწმებული პირები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

19 ნოემბრიდან ყოველდღე
დიდი საცირკო წარმოდგენა მთლიანად შეცვლილი პროგრამით
მთელი საღამო მანეეზე
რსფსრ დამსახურებული არტისტი
ოლეგ პოპოვი
მონაწილეობენ საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
კვირაობით დღის ორი სპექტაკლი
წარმოდგენა
დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება სტუდენტთა საუურადღებოდ აცხადებს, რომ 24 ნოემბერს, 8 და 29 დეკემბერს ინსტიტუტის შენობაში, 1 და 15 დეკემბერს თელავის, სიღნაღის, გორის და ახალციხის საზაონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.

კონსულტაციები მოეწყობა: თბილისში — ინსტიტუტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 32), თელავსა და გორში — პედაგოგიური ინსტიტუტების შენობებში, სიღნაღსა და ახალციხეში — პედაგოგიური სასწავლებლების შენობებში. კონსულტაციების ცხრილების გაცნობა შეიძლება განათლების განყოფილებებში.

კონსულტაციები დაიწყება: თბილისში დილის 10 საათიდან, ხოლო საკონსულტაციო პუნქტებში — დილის 11 საათიდან.

ამავე დღეებში თბილისში აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებისათვის იწარმოებს გამოცდები.

პირობით გადაყვანილი სტუდენტი, რომელიც 1 იანვრამდე არ დაფარავს აკადემიურ დავალიანებას, დაბრუნებულ იქნება შესაბამის კურსზე.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება ერთხელ კიდევ აფრთხილებს სტუდენტებს, რომ პირველი დეკემბრის შემდეგ საკონტროლო სამუშაოები არ მიიღება და სტუდენტი შესაბამის საგანში გამოცდაზე არ იქნება დაშვებული.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ბატონის მსახური (სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული კოლექტივის სპექტაკლი), **მუსიკალური კომედიის** — ნანატრი საქმრო, **სომხური დრამის** — სამელი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბორის ძნელაძე (აბონემენტი № 46, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ზღაპარი ზღაპრის შესახებ (10 ს. და 1 ს.), **თოჯინების რუსული** — ორი პოტაპიჩი (10 ს. 30 წ. და 1 ს.), **თოჯინების ქართული** — შვილს ნუკრი (4 ს.), **ფილარმონია** — კონცერტი დ. გამრეკელის მონაწილეობით (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის — ფანფან ტულპანი, **ამირანი** (ფართო ეკრანი) — დები, **ოქტომბერი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — გარდატეხა, **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, ჭავჭავაძისა და ძერჟინსკის სახელობის კლუბები** — წყნარი დონი, **სპარტაკი** — ბორანი, **თბილისი** — დაკარგული სამოთხე, **კომკავშირელი, დიდუბე** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ქალის ტვირთი, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კოლმეურნე, ყაზბეგი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — დედის სიყვარული, **დიდუბე** (საზაფხულო) — გაზაფხულის ჭირხლი, **ცენტრალური კულტურის სახლი** — მექსიკის სერენადა.

1957 წლის 30 ნოემბრს ქალაქ სვერდლოვსკში შედგება
სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მე-60 ტირაჟი
ამ ტირაჟში გათამაშდება **46 მილიონ 502 ათასი მანეთის 85.000 მოგება,** მათ შორის:

50.000-მანეთიანი — 20 მოგება
25.000-მანეთიანი — 50 მოგება
10.000-მანეთიანი — 250 მოგება
5.000-მანეთიანი — 800 მოგება
1.000-მანეთიანი — 7.000 მოგება
400-მანეთიანი — 76.880 მოგება

ყოველწლიურად ეწყობა სესხის მოგებათა 6 ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში!

საქართველოს სსრ სახელმწ. შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

შვილები ნიკოლოზ, ვერა, სიძე ალექსანდრე, ძმა ივანე, და ევდოსია ოჯახებით იუწყებიან
მელანია სიმონის ასულ კუჩუაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 19-XI, 4 ს. ლერმონტოვის ქ. № 9.

თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკას“ მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი იუწყებიან
ელენე მიხეილის ასულ გეგელიშვილის
გარდაცვალებას.

მეუღლე ელენე, შვილები სონია, ცუცა, თამარ, რძალი ეველინა დოლიძე, სიძეები გ. ჯაფარიძე, ვ. ვიხროვი შვილებით იუწყებიან
ალექსანდრე ვასილის-ძე ვაშაკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XI დიდ ჯიხაიშში.

მეუღლე გულხანუმი, შვილები ბესირე, ზია, ფუთა, დები ზექეი, ასიე, მექფულე, ძმა სულეიმან, რძალი ნთელა, სიძეები ხ. გრიგორაშვილი, ლ. გოგიტიძე ოჯახებით იუწყებიან
ხუსეინ ალის-ძე შარაშიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XI ქობულეთში, გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 118.

საქართველოს კოროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური და კვების ტექნოლოგიური ფაკულტეტი იუწყება დოცენტ
იოსებ ლევანის-ძე ბაცანაძის
გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-6 კურსის სტუდენტები იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტის
თამარ გიორგის ასულ თბინვალელის
გარდაცვალებას.

მარგო, ემა გაჩეჩილაძეები, კ. ტერტეროვი, შ. ჩხატარაშვილი, არტემ, მარო ბედიები, კ. გვასალია ი